განკარგულება:**g-31. 31232362**
თარიღი:**24/08/2023**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №61

2023 წლის 24 აგვისტო

ქ. ლანჩხუთი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სს „სილქნეტისთვის“ (ს/კ 204566978) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების, 115-ე მუხლის პირველი ნაწილის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად,

მუხლი 1. მიეცეს თანხმობა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, გადასცეს სს „სილქნეტს“ (ს/კ 204566978) ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელის მონტაჟისათვის, ხუთი წლის ვადით, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით - ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში 27.00.336 საკადასტრო კოდზე განთავსებული 70 გარე განათების კონსტრუქციიდან, 45 გარე განათების ბოძზე (სს „სილქნეტის“ დარეგისტრირებულ განცხადებაზე თანდართულ სქემატურ ნახაზზე აღნიშნული ბოძი) არსებული ნაწილი - წერტილი.

მუხლი 2. ზემოაღნიშნული უძრავი ქონების, კერძოდ ერთ ერთეულ ბოძზე არსებული მონაკვეთის (ნაწილის) წლიური სარგებლობის უფლების ღირებულება, შპს ,,საკონსულტაციო ჯგუფის კავკასაუდიტის“ 2023 წლის 23 ივნისის N284 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად, განისაზღვროს 5 (ხუთი) ლარის ოდენობით, ჯამში 45 გარე განათების ბოძის სარგებლობის ღირებულება შეადგენს 225 (ორას ოცდახუთი) ლარს.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ. N14 მისი ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის“ მე–8 თავის 22–ე მუხლის მე–3 ნაწილის შესაბამისად.

მუხლი 4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი